

## ბიზნეს-პროცესთა მართვის ავტომატიზებული სისტემის მოდელის დამუშავება

ეკატერინე თურქია, ნუგზარ ამილახვარი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

წარმოდგენილია ბიზნეს-პროცესთა მართვის ავტომატიზებული სისტემის მოდელის დამუშავება პროცეს-ორიენტირებული, ობიექტ-ორიენტირებული მეთოდებისა და მოდელირების ვიზუალური ინსტრუმენტების საშუალებით. პროცესთა მენეჯმენტის რთული ბიზნეს-პროცესებისათვის მართვის სისტემის მოდელის აგებისა და შემდგომი კვლევისთვის გამოყენებაშია ისეთი პროგრამული პლატფორმები და სისტემები, როგორიცაა .NET-ის ინტეგრირებული ენა, უნიფიცირებული მოდელირების ენა – UML2 (Unified Modeling Language), ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაცია – BPMN (Business Process Modeling Notation), პროგრამული პაკეტების ინჟინერინგის (Software Engineering) CASE - ტექნოლოგიის ინსტრუმენტების საშუალებები Rational Rose/Altova UModel, ActiveModeler Avantage. ჩამოყალიბებულია ბიზნეს-პროცესთა მართვის სისტემისადმი პირველადი მოთხოვნები, რომლისთვისაც აგებულია Use Case დაგრამები და BPMN მოდელები.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნეს-პროცესთა მართვა. უნიფიცირებული მოდელირების ენა. ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაცია.

### 1. შესავალი

გლობალური კონკურენციისა და დინამიკური ბიზნეს გარემოს პირობებში ყოველი კომპანია განვითარებისათვის საჭიროებს ოპტიმალურად ორგანიზებულ ბიზნეს-პროცესებს, მოითხოვს ინოვაციური სტანდარტებისა და სერვისების მუდმივ გაფართოებას, რესტრუქტურიზაციას, მოდერნიზაციას და ზოგადად, ახალი ბიზნეს-იდეებისა და ორგანიზაციის ახალი მოთხოვნების რეალიზაციას. ამასთან, მნიშვნელოვანია სწრაფად და სწორად მოახდეს რეაგირება გარემო პირობების ცვლილებაზე, რისთვისაც კომპანიას უნდა გააჩნდეს ერთიანი საფუძველი, რომელიც უზრუნველოყოფს მიზანმიმართულ მოქმედებას.

ამგვარი ღონისძიებების გატარების და დანერგვის ძირითადად მოდელს წარმოადგენს ბიზნეს-პროცესთა მიმდინარეობს კონკრეტული დეპარტამენტის ან დეპარტამენტების ფარგლებში და ატარებს დროებითი საქმიანობის ხასიათს. ბიზნეს-პროცესთი ითვალისწინებს პრაქტიკული ღონისძიებების, მეთოდების, საწარმოო საქმიანი ნაკადების (მმართველობითი, ფინანსური, იურიდიული, მარკეტინგული და სხვ.) საკადრო და ტექნიკური რესურსის (ინტელექტუალური რესურსის) კომპლექსურ მართვას და მოითხოვს სარეალიზაციო პროცესის სრული სასიცოცხლო ციკლის კვლევასა და პროცედურულ ანალიზს საწყისიდან საბოლოო ეტაპამდე.

### 2. ძირითადი ნაწილი

პროცესთა მართვა ძირითადად, მოიცავს ინიციალიზაციის, დაგეგმვის, შესრულების, მონიტორინგის, კონტროლისა და დანერგვის ეტაპებს პროცესის როლური, დროითი და მატერიალური საზღვრების გათვალისწინებით. პროცესი ევექტურია თუ ეს ფაქტორები ბალანსშია ერთმანეთთან, ანუ პროცესის მიმართ მოთხოვნილი პროდუქტი, სერვისი ან შედეგი შესრულებულია მოცემულ საზღვრებში და გადაში, წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტის მიხდვით. ამ ფაქტორებს შირისი დამოკიდებულება იმდენად მჭიდროა, რომ თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც შეიცვლება, მაშინ იგი გავლენას ახდენს დარჩენილ ან ერთ ფაქტორზე მაინც [1].

პრაქტიკულად, ასეთი კომპლექსური სისტემის ოპტიმალური მართვის, ორგანიზაციული რესურსების ეფექტურად გამოყენების და პროცესის ტექნოლოგიური პროცესის მოქნილი ფუნქციონირების ბირთვეს წარმოადგენს საქმეთა წარმოებისა და დოკუმენტბრუნვის განაწილებული პროცესების ავტომატიზებულ-სერვისული მართვა და ვებ-ფორმატზე ბაზირებული პროცესთა მართვის ინტეგრირებული სისტემის ავტომატიზაცია, რაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღწევა.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა პროცეს-ორიენტირებული, ობიექტ-ორიენტირებული მეთოდებისა და მოდელირების ვიზუალური ინსტრუმენტების საშუალებით განხორციელდეს პროექტების მენეჯმენტის რთული ბიზნეს-პროცესებისათვის მართვის სისტემის მოდელის აგება და შემდგომი კვლევა. მსგავსი ისეთი პროგრამული პლატფორმები და სისტემები, როგორიცაა მაგალითად, მონაცემთა ბაზები, .NET-ის ინტეგრირებული ენბი, უნიფიცირებული მოდელირების ენა – UML2 (Unified Modeling Language), ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაცია – BPMN (Business Process Modeling Notation), CASE - ტექნოლოგიის ინსტრუმენტული საშუალებები Rational Rose/Altova UModel, ActiveModeler Avantage და სხვ.

სისტემების დაპროექტების ეტაპზე აუცილებელია ბიზნეს-ანალიტიკოსებისა და სისტემების (Software) დამპროექტებლების ერთობლივი მუშაობა, რათა ზუსტად განისაზღვროს სარეალიზაციო სისტემაზე ძირითადი მოთხოვნები. ამ თვალსაზრისით, UML2 და BPMN მოდელების გამოყენება, რაც დღესდღეობით შეთანხმებულ სტანდარტად ითვლება ბიზნეს-სფეროს ყველა მონაცილისთვის, საგრძნობლად ხელს უწყობს პრობლემების გამოვლენის ფაზის დამუშავებას და შესაძლებელს ხდის შეიქმნას საავტომატიზაციო სისტემის პირველადი კარგასი.

მართვის ავტომატიზებული სისტემების თეორიაში ცნობილია რეალიზებული პროექტების დაწერგვის პროცესის სირთულე, რომელიც დაკავშირებულია ამ სისტემებში მოთხოვნების სქმანტიკის ფორმირების დინამიკასთან და მომხმარებელთა ინტერაქციებისა და სუბიექტური პრინციპების თავსებადობასთან. პროექტ-მენეჯერთა ფუნქციების ავტომატიზაციის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებულია აღნიშნული ფაქტორი [2].


ბიზნეს-პროექტების მართვის ავტომატიზებული სისტემის გამოყენების მთავარ უპირატესობებად შესაძლებელია გამოვყოთ ისეთი ასპექტები, როგორიცაა პროექტების მართვის პროცედურის რეგლამენტირების საშუალება; პროექტის დროის, რესურსების და ღირებულების პარამეტრების მათემატიკური მეთოდების გამოყენება/დამუშავება; გრაფიკის მიხედვით სამუშაოს, რესურსებისა და ღირებულებების შესახებ ინფორმაციის ცენტრალიზებული შენახვა; სხვადასხვა სახის ცვლილებების დროს სწრაფი ანალიზის საშუალება; მაკონტროლირებელი სტრუქტურის შემუშავება; პროექტების რისკების მართვა და აღრიცხვა; ანგარიშების, ღოვემენტებისა და გრაფიკული დაიგრამების ავტომატიზებულად გენერაციის საშუალება; პროექტების ისტორიული მონაცემებისა (არქივის) და დაგროვილი ცოდნის გამოყენება, რეკომენდაციების სახით, მსგავსი ხასიათის ბიზნეს-პროექტების წარმოებისას.

ამგარად, ბიზნეს-პროექტების ავტომატიზებული სისტემის დამუშავებისას, საწყის ეტაპზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ სისტემისადმი პირველადი მოთხოვნების იდენტიფიცირება, რაც პრაქტიკულად, ბიზნეს-პროექტების ორგანიზაციული მართვის პრობლემების გადაწყვეტისას უნდა იყოს გათვალისწინებული. 1-ელ ნახაზზე ასახულია ბიზნეს-პროექტების მართვის სისტემისადმი პირველადი მოთხოვნების Use Case დაიგრამის ფრაგმენტი.


პროექტთა სამუშაო გუნდების ოპტიმალურად ფორმირების მიზნით აუცილებელია საკადრო რესურსების ავტომატიზებული შერჩევის მხარდამჭერი კომპიუტერული სისტემის შექმნა, მისი მართვის პროცესებისა და ინფორმაციული ნაკადების სტრუქტურიზაცია, სისტემატიზაცია, ანალიზი, ალტერნატივების დამუშავება და გადაწყვეტილების მიღება. ამ ფაქტორების შესრულების ძირითადი ამოცანა თვისიმობრივი, რაოდენობრივი და ინტელექტუალური პარამეტრების საფუძველზე კონკრეტული პროექტ(ების) შესრულებისთვის შესაბამისი რესურსების ჭარბი სიმრავლიდან მიზნობრივი მოტივაციის მაჩვენებლებით საუკეთესო კონკრეტული ვარიანტების შერჩევა.

სამუშაო გუნდების განსაზღვრა, პრაქტიკულად კერძო, უნიკალური პროცესია, რაც დამოკიდებულია პროექტის ხასიათსა და უმუშობლეს პროექტ-მენეჯერთა შეხედულებაზე. ამ თვალსაზრისით პროექტ-მენეჯერის ფუნქციაში შედის გუნდში სპეციალისტთა შერჩევის მოთხოვნების განსაზღვრა - სპეციალისტის ტიპის, ინტელექტუალური დონისა და რაოდენობის მიხედვით. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია გუნდის წევრთა ტიპისა და რაოდენობის შესაძლო ცვლილება პროექტის მიმდინარეობისას.


მე-2 ნახაზზე შემოთავაზებულია პროექტი(ებ)ში მობილური სამუშაო გუნდების დაკომპლექტების პროცესის BPMN მოდელი, ხოლო მე-3 ნახაზზე ასახულია აღნიშნული პროცესის Use Case დიაგრამის ფრაგმენტი.



ნაკ.1. ბიზნეს-პროცესების მართვის სისტემის Use Case დაგრამის ფრაგმენტი



ნახ.2. მობილური სამუშაო გუნდების დაკომპლექტების პროცესის BPMN მოდელი




ნახ.3. საპროექტო გუნდის დაკომპლექტების Use Case დიაგრამის ფრაგმენტი

დღევანდელ დღეს კომპანიებში, უკვე ჩამოყალიბებულია და აქტიურ გამოყენებაშია საკადრო რესურსის რეიტინგული შეფასების პერიოდული (ყოველკვარტალური, ყოველწლიური და ა.შ.) სტანდარტული ფორმები. ამ ფორმის ძირითადი დანიშნულებაა შიგაკორპორაციული საკადრო ცვლილებების გატარების ასახვის, კომპანიებში მიმდინარე სხვადასხვა საზის რესტრუქტურიზაციული პროექტებისთვის მობილური სამუშაო გუნდების ჩამოყალიბების და ზოგადად, ვაკანტურ პოზიციებზე ახალი პერსონალის მიღების ხელშეწყობა, რაც სპეციალისტის სამუშაო ქმედითუნარიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტების რეიტინგული შეფასებით (ფინანსური, ისტორიული, სოციალური და სხვა) ხორციელდება [3].

მიუხედავად არსებული შეფასების ფორმის კომპატენტურობისა, მისი წარმატებით გამოყენების შესაძლებლობას ართულებს ამ ფორმის არავტომატიზებული და არაუნივერსალური ასექტები. რეიტინგული შეფასების ფორმის მობილურად ფუნქციონირებისთვის არსებობს რიგი პრობლემები, რაც ძირითადად დაკავშირებულია საკადრო რესურსის ზუსტი და დროული შერჩევისას კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღებასთან. ამავდროულად, სირთულეს წარმოადგენს ასევე კორპორაციის ფიზიკური თუ სიგრცული სიდიდე, რაც მეტწილად დაკავშირებულია კორპორაციებში არსებული ჭარბი ინფორმაციის მოუწესრიგებლობასთან, ოპერატორი ინფორმაციის ფლობასთან, რაც საქმაოდ აფერხებს სწორი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას, იწვევს ადამიანური რესურსების დამატებით დროით ხარჯს და აფერხებს სამუშაო პროცესის მაქსიმალურ წარმატებულად წარმართვას.

საკადრო რესურსის შეფასებას ახდენს კორპორაციაში შემავალი თითოეული დეპარტამენტის თუ ქვეგანყოფილების ხელმძღვანელი, ხოლო ამ პროცესის შესრულების მთავარი სტრუქტურული ერთეულია კადრების განყოფილება, რომლის ფუნქციაშიც შედის პერიოდული ტესტირების მომზადება და შესრულების კონტროლი. პრაქტიკულად, რეიტინგული შეფასების დოკუმენტ-

ბრუნვის პროცესში მონაწილეობას იღებს კორპორაციაში არსებული ყველა დეპარტამენტი. დოკუმენტ-ბრუნვის პროცესის BPMN მოდელის ფრაგმენტი შემოთავაზებულია მე-4 ნახაზზე.



ნახ.4. საკადრო რესურსის მართვის პროცესის BPMN მოდელი

### 3. ପାଇୟନ୍ଦା

ბიზნეს-პროექტების მართვის ავტომატიზებული სისტემის გამოყენებით კომპანიებს საშუალება ეძღვა უფრო ზუსტად განსაზღვრონ კორპორაციული მიზნები და ოპტიმალურად დაგეგმონ მოქმედების სქემა, გაითვალისწინონ შესაძლო რისკები, მოახდინონ არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენება, გააკონტროლონ შედგენილი გეგმის შესრულება, გააანალიზონ ფაქტობრივი მონაცემები, დააგროვონ და შეძლევში გამოიყენონ მსგავსი პროექტების მართვისას. ჩვენს მიერ დამუშავებული სისტემის მოდელირების თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია პროგრამული პაკეტების ინჟინერინგის (Software Engineering) CASE-ტექნოლოგია, უნიფიცირებული მოდელირების ენისა (UML2-Unified Modeling Language) და ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაციის (BPMN) მიმართულებით, რის საფუძველზეც დამუშავებულია სისტემის პრობლემების გამოვლენის ფაზა.

**ლიტერატურა:**

1. A Guide to the PMBOK – Project Management Body of Knowledge, Global Standards. 2006
2. Hammer M., Champy J. Reengineering the Corporation. A Manifesto for Business Revolutions. HarperBusiness. 1993
3. გიუტაშვილი მ., თურქა ე. კორპორაციულ სისტემებში ინტელექტუალური რესურსების მენეჯმენტი, მონოგრ., სტუ, თბილისი, 2008.

**DEVELOPMENT OF AUTOMATED MANAGEMENT SYSTEM MODEL FOR BUSINESS-PROJECTS**

Turkia Ekaterine, Amilakhvari Nugzar  
Georgian Technical University

**Summary**

Processing model of automated business-project management system through the process-oriented, object-oriented methods and Visual-Modeling Tools is suggested. For the opportunity to develop and further research the modeling of sophisticated business-processes management system of the project management, the programming platforms and systems similar to .NET - integrated languages, UML2 -Unified Modeling Language, BPMN - Business Process Modeling Notation and Software Engineering CASE-Tools Rational Rose/Altova UModel, ActiveModeler Avantage, are used. The primary requirements to the management system business-project and its Use Case-diagrams and BPMN models are formed and constructed.

**РАЗРАБОТКА МОДЕЛИ АВТОМАТИЗИРОВАННОЙ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ БИЗНЕС-ПРОЕКТАМИ**

Туркия Е., Амилахвари Н.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Предложена разработка модели автоматизированной системы управления бизнес-проектами с помощью процесс-ориентированных, объектно-ориентированных методов и инструментальных средств визуального моделирования. Для возможности разработки и дальнейшего исследования модели сложной системы управления бизнес-процессами используются такие программные платформы и системы, как: интегрированные языки .NET, UML2 - Унифицированный язык моделирования, BPMN - нотация моделирования Бизнес-процессов и инструментарий CASE - технологии Rational Rose/Altova UModel, ActiveModeler Avantage. Сформированы первичные требования к системе управления бизнес-проектами и построены Use Case диаграммы и BPMN модели.

**შენიშვნა:** აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური წელშეწყობით (გრანტი № GNSF/PRES08/3-322, ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო საგრანტო პროექტი (2008): ”ბიზნეს-პროექტების მართვის ტექნოლოგიური პროცესის ავტომატიზაცია”). წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახვდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.